პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой СТРАЖ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1926 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 16 ივნისი, 1990 წელი ● № 25 (2902) ● СУББОТА, 16 ИЮНЯ 1990 г.

## ოფიციალური ინფორმაცია

**მოსკოვში** მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის გლეხთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა, რომელიც 11 ივნისს გაიხსნა.

* * *

**გამოქვეყნდა** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონის პროექტები საზოგადოებრივ გაერთიანებათა შესახებ, სინდისის თავისუფლებისა და რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ. კანონპროექტები ფართო განხილვისათვისაა წარმოდგენილი.

* * *

**სკკპ** ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი. იგი მიეძღვნა სკკპ XXVIII ყრილობის და რუსეთის პარტიული კონფერენციის მზადებას.

* * *

**გამოქვეყნდა** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოწვევის შესახებ, რომელიც გაიმართება 20 ივნისს.

* * *

**12 ივნისს** სსრ კავშირის პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. რიჟკოვმა კრემლში მიიღეს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეები. გაიმართა მოსაზრებათა გაზიარება ეროვნებათშორის ურთიერთობაში შექმნილი სიტუაციის გამო.

* * *

**სკკპ** ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი.

* * *

**პრესაში** გამოქვეყნდა საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის წესდებისა და პროგრამის პროექტები. აგრეთვე საქართველოს სსრ კანონის „პროფესიული კავშირების უფლებების შესახებ“ პროექტი.



შუახევის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული ნ. შავაძე 1974 წლიდან მსახურობს შს ორგანოებში. მოწინავე თანამშრომელს არაერთხელ გამოუცხადეს მადლობა ოპერატიულ-სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, მიღებული აქვს ორი მედალი „უმწიკვლო სამსახურისათვის“.

ბ. მგალობლიშვილის ფოტო.

КАДРАМ МИЛИЦИИ—ПОСТОЯННОЕ ВНИМАНИЕ

# БЫТЬ НА УРОВНЕ СОВРЕМЕННЫХ ТРЕБОВАНИЙ

**Современный этап развития нашего общества, характеризующийся сложностью и неоднозначностью социально-политических процессов, предъявляет повышенные требования к сотрудникам органов внутренних дел. Задачи их сейчас, в условиях определенной дестабилизации обстановки и роста преступности, многократно усложнились. Их успешное решение наряду с постоянным совершенствованием уровня профессионального мастерства действующего личного состава ОВД требует и постоянного притока молодого пополнения, отвечающего по своим деловым и морально-политическим качествам требованиям, предъявляемым на сегодняшний день к стражам правопорядка. О том, какая работа ведется в системе министерства по подбору, воспитанию и расстановке кадров, рассказывает сегодня в беседе с нашим корреспондентом заместитель министра внутренних дел республики подполковник внутренней службы Ю. Н. Ермолаев.**

**— Юрий Николаевич, в свое время повсеместно была распространена формула — «Кадры решают все». Несмотря на определенную категоричность этого девиза, нельзя не отметить, что в нем заключено конструктивное начало, во многом определяющее эффективность любого рода человеческой деятельности. Насколько, на Ваш взгляд, имеющийся на сегодня личный состав нашего министерства соответствует задачам борьбы с преступностью?**

— Как известно, одним из определяющих показателей профессиональной зрелости сотрудников является их образовательный уровень — основной гарант их способности решать сложные задачи с учетом современных требований. Исходя из этой точки зрения, можно констатировать, что многотысячный коллектив министерства внутренних дел республики на сегодняшний день располагает в целом грамотными, профессиональными работниками.

Практически весь наш личный состав имеет среднее специальное или высшее образование. Так, 66,6 процента из общего числа сотрудников среднего и старшего начальствующего состава (от лейтенанта до полковника включительно) — это люди с высшим образованием, а 29,5 процента работников этой же категории имеют среднее специальное образование, причем более половины из них продолжают заочное обучение в высших учебных заведениях (в основном, — на Тбилисском факультете Московской высшей школы милиции МВД СССР) и только 2,8 процента работников той же категории имеют общее среднее образование. Это главным образом лица предпенсионного возраста, занятые исполнением технической работы в фельдъегерской или других аналогичных службах.

Достаточно высок также образовательный уровень рядового и младшего начсостава: 96,6 процента этих сотрудников имеют среднее или среднее специальное образование, а 1,8 процента, пройдя курс заочного обучения, уже имеют на сегодняшний день высшее образование и по достигнутому уровню теоретической подготовки и наличию у них соответствующих практических навыков представляют собой реальный резерв на замещение должностей среднего начальствующего состава.

**— Какие проблемы кадровой работы вызывают у Вас наибольшую озабоченность и каковы пути их решения?**

— Прежде всего тревожит значительная степень текучести кадров. Если по среднему и старшему начсоставу в прошлом году, по сравнению с предыдущим, этот безошибочный показатель издержек в отборе и воспитании офицерских кадров удалось снизить с 5,2 до 3,6 процента, то по рядовому и младшему начсоставу положение усложнилось: сам по себе высокий уровень текучести кадров этой категории, равный в 1988 году 8,4 процента, еще более возрос. Анализируя этот нежелательный процесс, мы пришли к однозначному убеждению, что это следствие недоработок как со стороны кадровых аппаратов в стадии отбора кандидатов на службу, так и со стороны непосредственных руководителей органов и подразделений, которые несут ответственность за воспитание и становление подчиненного им личного состава.

В поисках причин, порождающих это крайне нежелательное явление, мы пришли к выводу, что оно в значительной степени является также следствием недостаточной нашей работы по профессиональному ориентированию молодежи как со стороны кадровых аппаратов, так и со стороны руководителей местных органов внутренних дел и функционирующих при них отборочных комиссий, чему, как свидетельствует практика, в МВД республики до сего времени не уделялось должного внимания.

По нашему убеждению, такая предварительная ориентация молодых людей на предстоящую службу в органах внутренних дел, с одной стороны, сделает их более целеустремленными, а с другой — позволит нам избежать ошибок в оценке качеств отбираемого пополнения.

**— Какими критериями руководствуются кадровые аппараты при подборе сотрудников, и какую роль играет здесь предварительная профориентация кадидатов на службу в ОВД?**

— Одним из немногих еще документов, регламентирующих порядок отбора кандидатов на службу в органы внутренних дел, который в известной степени отражает суть и задачи предварительной профессиональной ориентации, является действующая в настоящее время Инструкция МВД СССР от 18 июля 1984 г. С известными оговорками можно считать этот документ первым практическим шагом на пути внедрения в практику системы профориентации.

В этой инструкции дан широкий спектр таких требований, как обязательное наличие у кандидатов на службу идейной убежденности, патриотизма, высокой требовательности к себе, осознанного понимания значимости и ответственности своей будущей службы.

Исходя из положений названной инструкции, в практике работы кадровых аппаратов МВД Грузинской ССР уделялось должное внимание соблюдению порядка отбора кадров в условиях тщательного изучения личности каждого из кандидатов на службу, однако сегодня надо признать, что названный документ и практическое осуществление его требований далеко не в полной мере способствовали внедрению устоявшейся системы заблаговременного профессионального ориентирования молодежи в полном смысле этого понятия.

В предстоящий период мы намерены осуществить практические меры по совершенствованию и широкому использованию такой системы точного дифференцированного определения склонности и пригодности отбираемых кандидатов к успешной работе на том или ином направлении многообразной правоохранительной службы. По нашему глубокому убеждению, в этой системе содержится тот неиспользовавшийся до сего времени резервный потенциал, который позволит существенно влиять на повышение общей эффективности и качества деятельности наших органов и подразделений.

**— Очевидно, одним из главных резервов для пополнения кадров ОВД являются молодые люди, отслужившие в рядах Советской Армии — ведь там они не только получают определенную закалку, но и овладевают различ**

(Окончание на 2-й стр.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა — გავლილი, გზა — გასავლელი

**დღეს რედაქციის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხობს საქართველოს შს სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი, შ/ს პოლკოვნიკი გ. ბიჭაშვილი.**

**1. გვაინტერესებს თქვენი შეფასება თუ რისი განხორციელება შეძლო და რისი ვერა თქვენდამი რწმუნებულმა სამსახურმა გასულ 1989 წელს.**

**2. კოლეგიის სხდომაზე როგორ შეფასდა თქვენი სამსახურის მუშაობა და რა საკითხებზე იქნება თქვენი ყურადღება გამახვილებული მომავალში?**

**3. გარდა რესპუბლიკაში მიმდინარე ყველასათვის ცნობილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და ეთნოკრიზისისა, რას თვლით ხელის შემშლელად დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, სუბიექტური და ობიექტური მიზეზები.**

**4. რა კუთხით წარმართავს თქვენი სამსახური მუშაობას მიმდინარე წელს, ანუ ძირითადი მიმართულებანი.**

**5. როგორ ფიქრობთ აამაღლოთ თითოეული თანამშრომლის პროფესიული დონე და პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად შესრულების საქმეში, რას თვლით ამისთვის საჭიროდ?**

**6. დასახული მიზნების მისაღწევად როგორ გესახებათ ურთიერთობა ჩვენს გაზეთთან და თვლით თუ არა მას აუცილებლად. რას მისცემს თქვენს სამსახურს ეს ურთიერთობა?**



1. **ბოლო** ორი წლის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც მთლიანად სსრ კავშირში შესამჩნევად გაიზარდა ხალხთა მასების აქტიურობა, მათი სწრაფვა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების რეალიზაციისათვის. ამაზე მეტყველებდა მრავალრიცხოვანი მიტინგები, დემონსტრაციები და სხვა აქციები. ისიც ცნობილია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მოქალაქეთა მოქმედება ქვემო ქართლში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ატარებდა ექსტრემისტულ ხასიათს.

გასულ წელს და მიმდინარე წლის 5 თვეში რესპუბლიკაში გაიმართა 500-ზე მეტი მიტინგი და დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მილიონმა ადამიანმა. ამ ფონზე ოპერატიული მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მართალია ეთნოკონფლიქტების მოწესრიგებაში ჩვენმა თანამშრომლებმა დიდი წვლილი შეიტანეს, მაგრამ მეორე მხრივ შესუსტდა ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩადენილი დანაშაულებების გამოვლენა და პროფილაქტიკა. ამის მიზეზი ნათელი გახდება თუ ვიტყვი, რომ მაგალითად თბილისში ყოველდღიურად ქუჩაში ორასამდე მილიციელის ნაცვლად გადის 50 მილიციელი.

2. კოლეგიამ შეაჯამა რა 1989 წლის შედეგები, აღნიშნა, რომ ჩვენმა სამსახურმა სრულად ვერ შეძლო თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულება აღნიშნულ გარემოებათა გამო. ვფიქრობ სამომავლოდ აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს თანამედროვე პირობებში თანამშრომელთა პროფესიული მომზადების დონის ამაღლებაზე, მაქსიმალურად უნდა გამოვათავისუფლოდ მილიციელები ქუჩის დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. აქვე ვიტყვით, რომ ძალზე ნელა მიმდინარეობს მუნიციპალური მილიციის დაკომპლექტება. ადგილობრივი ბიუჯეტით ვფიქრობ საჭირო იქნება შეიქმნას სპეციალური დანიშნულების მობილური, ქვედანაყოფი, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი თანამშრომლები დაკავებული იყვნენ მხოლოდ თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებით.

3. ზემოთ უკვე მოკლედ მოგახსენეთ თუ როგორ მოქმედებს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა ჩვენს მუშაობაზე. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დამნაშავეობა გაიზარდა 54,1 პროცენტით. თუ იმასაც ვიტყვით, რომ დღესაც ჩვენი თანამშრომლების სამსახურებრივი დროის 80 პროცენტი მიდის სხვადასხვა პოლიტიკურ აქციებზე, სპორტულ ღონისძიებებზე მორიგეობისას, ნათელი იქნება თუ რა გვიშლის ხელს მუშაობაში.

4. ადრე ჩვენ არ გაგვაჩნდა არავითარი გამოცდილება მიტინგებზე და დემონსტრაციებზე წესრიგის დაცვის საქმეში, ამიტომ იძულებული ვიყავით სხვადასხვა რეგიონის დანაყოფების დახმარებისათვის მიგვემართა. ახლა კი საკმარისი გამოცდილება შევიძინეთ და დღის წესრიგში დადგა საკითხი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საპატრულო საგუშაგოს მილიციელთა რაოდენობა. ამაში ისიც დაგვეხმარება რომ მჭიდრო კავშირებს ვამყარებთ მიტინგებისა და მსვლელობების ორგანიზატორებთან, მათთან ერთად წესრიგის დასაცავად. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. დამატებით უნდა გავზარდოთ მილიციელთა რაოდენობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებთან ერთობლივი რეიდების ჩატარებას ხულიგნობის, სპეკულაციის, მაწანწალობის ფაქტების გამოსავლენად.

5. თანამშრომელთა პროფესიული დონის ასამაღლებლად შს სამინისტროს სასწავლო ცენტრის ბაზაზე გათვალისწინებულია ტექნიკური მეცადინეობების ჩატარება, აგრეთვე შეკრებებისა და სემინარების მოწყობა რეგიონებში. ითვალისწინებს რა თანამშრომელთა დიდ დატვირთვას და ამის მიზეზით კადრების დენადობას, მილიციელთათვის გათვალისწინებულია რიგი შეღავათებისა: ბინების დროული გამოყოფა, ფულადი ანაზღაურება, ამორტიზებულ ავტომანქანათა გამოყოფა ნაღდ ანგარიშზე შესაძენად და სხვა.

6. ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, „მებრძოლ გუშაგშიც" ხშირად იბეჭდება მასალები, რომლებშიც ობიექტურად არის ასახული ჩვენი სამსახურების მუშაობა.

**მრავალი მაგიდის გარშემო ანუ გაფართოებული კოლეგიის სხდომის შემდეგ**

# БЫТЬ НА УРОВНЕ СОВРЕМЕННЫХ ТРЕБОВАНИЙ

(ОКОНЧАНИЕ)

**ными специальностями, необходимыми в органах внутренних дел.**

— Действительно, одним из основных, оправдывающих себя резервов пополнения кадров системы МВД является категория молодежи, закончившей срочную службу в Советской Армии. В целях более эффективного использования этого резерва Управлением кадров с участием Военно - мобилизационного отдела министерства разрабатываются совместно с военными комиссариатами мероприятия, суть которых заключается в том, что нам будет предоставляться возможность ознакомления с личными делами призывников во внутренние войска. В случае установления пригодности их в дальнейшем к службе в органах внутренних дел, мы предполагаем организовывать личные встречи с этими лицами, в ходе которых призывники будут по возможности подробно ознакомлены с общим характером, порядком и условиями службы в милиции. Будут подробнее выяснены их личностные данные и наличие осознанного желания поступить по окончании срока воинской службы на работу в органы внутренних дел.

Поскольку речь идет о молодых людях 18-летнего возраста, не имеющих еще, быть может, достаточного жизненного опыта и, возможно, еще не готовых к принятию самостоятельных решений, им будет предоставляться возможность обсудить данное предложение со своими родными и близкими и после этого принимать всесторонне обдуманное решение.

Подобная предварительная профессиональная ориентация призывников будет способствовать созданию действенного резерва пополнения для наших органов, позволит рассчитывать по окончании ими воинской службы на более высокий качественный уровень этого пополнения, тем более, что перед призывниками, изъявившими согласие в будущем работать в милиции, будет поставлено условие, обязательное для реализации избранной ими цели — добросовестная, безупречная служба в частях внутренних войск, которая (и об этом они будут предупреждены) систематически будет нами контролироваться путем соответствующих контактов с командованием соответствующих воинских частей.

**— Как учитываются при подборе кадров наклонности молодых людей, перспективы их использования в определенных службах, на конкретных должностях?**

— В последнее время работники кадровых аппаратов республики четко ориентируются нами на точное, дифференцированное определение соответствия наклонностей и личных качеств отбираемых кандидатов на службу не общим условиям работы в органах внутренних дел, а тем определенным специфическим требованиям, которые будут предъявлены к ним будущей конкретной должностью, на которой планируется их трудоиспользование. Так, для будущих работников уголовного розыска эти требования заключаются в обязательном наличии у них способности гибкого, оперативного мышления, умения действовать в условиях эмоциональных нагрузок и сохранять психологическую устойчивость к восприятию негативных явлений; так, работник ГАИ должен уверенно разбираться в различных видах автодорожных средств, уметь управлять ими и устранять неисправности в них, «на глаз» определять скорость; от следственного работника требуется умение вступать в психологический контакт с незнакомыми людьми; у работников исправительных учреждений должно быть развито чувство гуманности и веры в исправление оступившегося человека и т. д.

Четкая ориентация в вопросах определения наиболее подходящего конкретного участка работы для каждого вновь принимаемого на службу гражданина, где он сможет наиболее ярко проявить заложенные в нем от природы потенциальные возможности — это верный путь к дальнейшему совершенствованию оперативно-служебной деятельности наших органов и подразделений в целом, которого мы будем строго придерживаться в предстоящей своей работе.

**— Наверное, с учетом всех перечисленных выше требований, необходимо создание в министерстве единой комплексной системы подбора кадров?**

— Первым шагом на пути внедрения в министерстве системы профориентации молодежи на службу в органы внутренних дел явилась созданная в качестве эксперимента практика подбора кандидатов на должности рядового и младшего начальствующего состава подразделений дорожно - патрульной службы ГАИ республики посредством конкурсного отбора.

Сформированная авторитетная конкурсная комиссия, состоящая из руководящего состава управления кадров, госавтоинспекции, политического отдела и видных представителей общественности республики, проводит свои заседания по мере необходимости набора кадров из числа кандидатов, предварительно отобранных и изученных отборочными комиссиями местных органов внутренних дел. Последующее, более углубленное и взыскательное выяснение на заседаниях конкурсной комиссии общеобразовательного уровня, степени интеллектуального развития конкурирующих между собой кандидатов, дают возможность отбирать из них лучших.

Исходя из того, что служба в указанных подразделениях ГАИ традиционно считается среди молодежи одной из самых престижных (чем и объясняется введение конкурсного отбора в них), в настоящее время нами изучается возможность введения порядка, который должен помочь в решении традиционно сложной для нас проблемы — в комплектовании наименее популярной службы контролерского состава учреждений УИД: перед кандидатами, желающими поступить в дорожно-патрульные подразделения будет ставиться условие, обязывающее их предварительно отработать в качестве контролеров не менее 2-х лет, после чего, при положительных отзывах по этой службе и, конечно, при наличии всех других данных, удовлетворяющих установленным требованиях для работников дорожно-патрульной службы, они будут беспрепятственно перемещаться в соответствующие подразделения.

**— Какие еще методы практикуются в системе министерства для отбора сотрудников, отвечающих по своим деловым качествам предъявляемых требованиям?**

— Интересам пополнения наших рядов наиболее полноценными и проверенными кадрами служит все более широко используемая нами и оправдывающая себя практика приема на службу представителей общественности, объединенных в системе местных добровольных народных дружин. Многим из этих лиц при выполнении своего общественного гражданского долга удается на деле проявлять совокупность таких личностных качеств, которые являются неоспоримым свидетельством их пригодности к работе в органах внутренних дел.

Наиболее положительный опыт в этом деле , который мы намерены широко популяризировать и активнее использовать, мы имеем в МВД Аджарской АССР. Здесь, с учетом особенностей и специфики приграничного географического положения, выработана устойчивая практика отбора на службу лиц, положительно проявивших себя в обычных добровольных (по охране общественного порядка) и специализированных (по охране государственной границы) народных дружинах. Благодаря использованию этого источника пополнения в настоящее время в органах МВД Аджарской АССР успешно служат более двухсот сотрудников, приобретших до этого определенные навыки и подготовку в ДНД. Среди них 12 человек были награждены медалями «За отличие в охране госграницы», а более 130-ти удостоены нагрудных знаков «Отличник пограничных войск».

Особую помощь оказывает нам этот способ отбора кадров в последнее время, когда в связи с созданием в ряде городов республики дополнительных формирований милиции, содержащихся за счет местных советов народных депутатов, возникла необходимость срочного их укомплектования.

И здесь я вынужден вновь напомнить некоторым местным руководителям прописную истину: работа с кадрами действенна и эффективна в тех органах, где она находится под заинтересованным, непосредственным контролем их руководителей, которые согласно существующему порядку и несут персональную ответственность за этот решающий участок работы. В этом отношении примечателен положительный опыт УВД Кутаисского горисполкома (начальник — Р. Тевзадзе): во вновь сформированное здесь в марте текущего года подразделение ППС, насчитывающее 100 штатных единиц, к настоящему времени сумели укомплектовать более 70 процентов этой штатной численности, в основном за счет бывших представителей функционирующих в гор. Кутаиси добровольных народных формирований. Таким же, в основном, путем почти полностью укомплектован дополнительный взвод милиции в гор. Чиатура (начальник ГОВД — Л. Надирадзе).

В заключение необходимо подчеркнуть, что все перечисленные выше и другие мероприятия по кадровому обеспечению наших органов и подразделений смогут дать желаемый результат только в том случае, если отбору кадров, предварительной профессиональной ориентации молодежи будет уделяться должное внимание со стороны руководителей всех рангов. Проблемы обеспечения качественного пополнения затрагивают интересы всех служб, органов и подразделений, и решать их надо совместными, объединенными усилиями.

**Беседу вел**
**А. ЦАТУРОВ.**

НА ЛИНИИ — ГОРИ

# ТРАГЕДИЯ НА ДОРОГЕ

ДА, опять дорога, опять автомобиль, опять горе и страдания людские. Увы, число жертв автоаварий в нынешнем году не уменьшается. И все равно, даже с учетом этого, случившееся 12 июня в Горийском районе потрясает особым драматизмом.

Так что же произошло конкретно? О подробностях, насколько это возможно сразу после происшествия, рассказывает начальник Горийского РОВД подполковник милиции У. Мгеладзе:

— Около трех часов дня по трассе Цхинвали — Гори шел «МАЗ-504» с прицепом, принадлежащий кооперативу «Транзит» Душетского района. За рулем находился водитель кооператива Д. Циликишвили, в кабине были его коллега Г. Мчедлишвили и член кооператива «Мегоброба», что в Ленингорском районе, Н. Ниаури. Старшему из них было 38 лет, младшему— 27.

У въезда в село Каралети водитель не сумел обеспечить безопасность движения и удержать грузовик перед возникшим препятствием. А навстречу тем временем двигалась похоронная процессия... Избегая прямого столкновения с массой людей, шофер вывернул руль в сторону встречной полосы. В результате там, уже на пешеходной дорожке, были сбиты трое пешеходов. Один — насмерть, двое других оказались в тяжелом состоянии.

Машина продолжала движение, пока не врезалась в один из жилых домов, в котором, к счастью, никто не пострадал. Но, к сожалению, все трое, находившиеся в грузовике, а каждый из них, замечу, имел возможность выпрыгнуть, спасаясь сам, но при этом увеличилось бы количество пострадавших вокруг, — погибли.

По предварительным данным стало известно, что в автомобиле «МАЗ-504» отказали тормоза.

По факту данного дорожно-транспортного происшествия следственным отделением Горийского РОВД возбуждено уголовное дело. Ведется предварительное расследование.

Записал **А. АРТЕМОВ.**

# „ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ...“

...**როცა** გასწორების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილეს დემურ მიქაძეს ვთხოვე დაესახელებინა მათი სამსახურის მოწინავე თანამშრომელი, დაუფიქრებლად მითხრა: გოშუა და ანპილოგოვი. თან დააყოლა — კარგი ბიჭები არიანო.

კმაყოფილი გამოვედი მისი კაბინეტიდან და მოვემზადე „კარგ ბიჭებთან“ შესახვედრად. შეხვედრა მართლაც მეორე დღეს შედგა.

რ. გოშუა 1978 წლიდან მუშაობს შს სისტემაში. ჯერ კონტროლიორად დაიწყო მუშაობა, შემდეგ ხდება ვილნიუსის მილიციის საშუალო სპეციალური სკოლის მსმენელი... დღეს ის განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებულია, შ/ს კაპიტანი, მიღებული აქვს 12 წახალისება, III ხარისხის მედალი — „უმწიკვლო სამსახურისათვის.“

კოლონიაში მუშაობა არც ისე იოლია. აქ ხომ თავმოყრილია სხვადასხვა ჯურის დამნაშავე, მაგრამ, როგორც ტოგოს (ასე ეძახიან რ. გოშუას) მიაჩნია — პატიმრებთან ადამიანური მიდგომაა საჭირო, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ შენს წინ დგას პიროვნება, რომელიც რაღაც მიზეზით მოხვდა აქ და არ შეიძლება მის სულიერ სამყაროს თანაგრძნობა არ გაუწიოთ. ამიტომაა ალბათ, რომ ყოფილი პატიმრები მასთან ხშირად მოდიან რჩევისა და დახმარებისათვის. რ. გოშუას აქვს საუკეთესო პედაგოგიური ალღო, ადამიანებთან კონტაქტის დამყარების კარგი უნარი. ამიტომ უყვართ იგი მეგობრებს, ახლობლებს.

მისი დღემდე განვლილი გზა არ იყო მხოლოდ საფეხურებზე ალმასვლა. ამ გზაზე იყო წინააღმდეგობაც, სიკვდილთან პირისპირ შეხვედრაც, ბევრი თეთრად გათენებული ღამეები, მაგრამ არის საქმის დიდი სიყვარული, კოლექტივის თანადგომა, თბილი და ტკბილი ოჯახი. ტოგო სამი შვილის მამაა, რაც აგრერიგად სჭირდება საქართველოს, მის მომავალს.

ა. ანპილოგოვს ყველა იცნობს. ასე მგონია მასზე ახალს ვერაფერს ვიტყვი. საშა ხომ დიდი სახელით მოვიდა შს სისტემაში. სახელმოხვეჭილი ხელბურთელი არის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი.

დამეთანხმებით სპორტი ბრძოლის ველია, სადაც მუდმივი მოძრაობა, ბრძოლაა საჭირო, ფინიშთან ამის გარეშე ვერ მიხვალ. როცა საშამ სპორტს თავი დაანება უნდოდა ეს ბრძოლა გაეგრძელებინა. — ჩემს უშუალო პროფესიაში (ის ქიმიკოსია) ამას ვიცოდი ვერ შევძლებდი და გადავწყვიტე შს სისტემაში დამეწყო სამსახური.

დიდი სახელი მან განდიდებისათვის არ გამოუყენებია. უხმაუროდ დაიწყო მისი ახალი ცხოვრება. ცოტათი ძნელიც იყო სპორტის მერე სხვა გარემოსთან, სხვა სიტუაციასთან შეგუება, ამ ფიქრს შიშიც ახლდა და რიდიც, მაგრამ მეგობრების თანადგომამ ყველაფერი კალაპოტში ჩააყენა. ყველაფერი კარგად აეწყო.. სწორედ ტოგო იყო საშას მასწავლებელი, დამრიგებელი.

— პატიმარი, მისი ცხოვრების განვლილი და არსებული გზა ყოველ ჩვენგანს უნდა აფიქრებდეს. ხომ იცით, დამნაშავედ არავინ არ იბადება, ზოგჯერ ჩვენივე გაუკითხაობა თუ გულგრილობა ხდება მათი დამნაშავედ ჩამოყალიბების მიზეზი. ჩვენს სამსახურში სულით, მორალურად, ზნეობრივად წმინდა ადამიანი უნდა მუშაობდეს, ყოველგვარი ბოროტება და ანგარება უნდა გამოირიცხოს. არ შეიძლება დამნაშავეს აგდებით ელაპარაკო, ან „ზემოდან“ გადმოხედო. მათ დამძიმებულ სულს არ სჭირდება კიდევ ერთი ტკივილი, კიდევ ერთხელ წარსულის და აწმყოს შეხსენება. ისინი თავადაც ხვდებიან — ვინ არიან და რანი არიან. არ უნდა ჩანდეს, რომ თითქოს კაცნი მხოლოდ ჩვენა ვართ, „მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი“ — ასე მეუბნება საშა და მის თვალებში უდაოდ ჩანს, რომ მას სტკივა თითოეული პატიმრის ბედი.

შეთანხმებულად, მეგობრულად მუშაობენ ტოგო და საშა, მათი სამუშაო მაგიდებიც ერთმანეთს შეჰყურებენ (თუმცა კაბინეტში იშვიათად ნახავთ მათ). საშასთვის სპორტი ყველაფერია, მაგრამ როცა ვკითხე — ბიჭებო სხვაგან თუ იმუშავებდით მეთქი, გაეღიმათ და მტკიცედ მითხრეს — სხვაგან სამსახური ნამდვილად არ შეგვიძლია, ამით დავიწყეთ და ამით უნდა დავამთავროთ.

მ. მოსიძე.

# საქმის სიყვარულით

— **რომ** გითხრათ მილიციელობაზე არ მიოცნებია მეთქი, არ ვიქნები მართალი, ჩვენი თაობა ყოველთვის სიმპატიით, მოკრძალებით იყო განმსჭვალული ფორმიანთა მიმართ. იყო შიშიც. როცა რამეს დავაშავებდით მშობლები გვაშინებდნენ —



აგერ მილიციელი მოდისო. მოკლედ ბევრი მიფიქრია ამ ადამიანებზე, მაგრამ თუ კი მე შევძლებდი მათ გვერდით ყოფნას ცოტათი მიუწვდომლად მეჩვენებოდა. დრომ ყველაფერს მიუჩინა თავისი ადგილი. 1954 წლიდან შს ორგანოებში ვარ. იხსენებს წალენჯიხის რაიგანყოფილების მილიციელი, უფროსი სერჟანტი გ. ანთია. პრინციპულ, მომთხოვნ მილიციელს უყვარს საქმე, რომელსაც ასე ერთგულად ემსახურება ამ ხნის მანძილზე. მისი უშუალო მონაწილეობით არაერთი დამნაშავე დაუკავებიათ რაიონის ტერიტორიაზე. მისგან ყოველთვის მეგობრულ რჩევასა და დახმარებას ელიან გვერდით მყოფნი, ახალბედა მილიციელები. ბატონ ბორის ხომ წლებით დაგროვილი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება აქვს. შს ორგანოებში უმწიკვლო სამსახურისათვის ის დაჯილდოვებულია მედლებით, მიღებული აქვს მილიციის ფრიადოსნის სამკერდე ნიშანი. გამოცხადებული აქვს არაერთი მადლობა. უპრეტენზიოდ, უხმაუროდ მსახურობს ბ. ანთია შს ორგანოებში.

— ჩემთვის მილიციაში მუშაობის ყოველი დღე საინტერესო და ტკბილად მოსაგონარია, თუნდაც ხიფათით და განსაცდელით იყოს აღსავსე. საქმე, რომელსაც სიყვარულით ემსახურები — წინააღმდეგობების გარეშე არ არსებობს.

ეს სიყვარული ყოფილიყოს ბატონო ბორი თქვენი მომავლის თავდები, რომელიც ასე ლამაზად გრძელდება თქვენს შვილებსა და შვილიშვილებში.

მ. ლიზრაძე.

# ПРОДОЛЖАЕТ СЛУЖБУ

**ДВАДЦАТЬ** лет трудится в профессиональной пожарной части г. Гардабани водитель Зелимхан Насибов. По стопам отца пошел и его младший сын Рамиз, который, демобилизовавшись из Советской Армии, продолжает службу в военизированной пожарной части при Тбил-ГРЭС.

— Отец и сын — спортсмены-прикладники. В свое время победителем зональных соревнований был Насибов старший, — рассказывает начальник пожарной части А. Абдулаев,— а сейчас продолжает семейную традицию его сын Рамиз — кандидат в мастера спорта. Когда недавно был пожар на Гардабанском картонно - руберондном заводе, активное участие в тушении пожара приняли и отец, и сын Насибовы, за что оба были поощрены — отец был награжден нагрудным знаком «Отличник пожарной охраны», а сыну была объявлена благодарность.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**



НА СНИМКЕ: отец и сын Насибовы.

МИЛИЦЕЙСКИЕ БУДНИ

# ОПЯТЬ О ПРОБЛЕМЕ НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ

**ЭТО СЛУЧИЛОСЬ** 19 мая 1990 года. Примерно в час ночи житель города Тбилиси Анатолий З., 1951 года рождения, неработающий, вместе с несовершеннолетними Джонди Г., 1974 года рождения, учащимся Марткопской спортивной школы и Алексеем С., 1974 года рождения, безработным, по предварительному сговору проникли через окно в Тбилисскую 96-ю среднюю школу, расположенную по улице Шаумяна, 57, где путем применения технических средств взломали двери и проникли в кабинет труда, откуда похитили шесть швейных машин различных марок. Похищенное спрятали на квартире Алексея С., однако в тот же день были задержаны работниками милиции РОВД им. 26 комиссаров, а названное имущество было обнаружено и изъято.

**Комментарий начальника ОУР ОВД района им. 26 комиссаров подполковника милиции С. Нерсесяна.**

— Утром 14 мая в РОВД поступило заявление от дирекции школы, что учащиеся, войдя в класс для проведения урока труда, обнаружили, что нет швейных машин. Руководством РОВД мне было поручено создать и возглавить оперативную группу, в которую вошли оперуполномоченные ОУР капитан милиции В. Монаселидзе и Г. Захарян. Прибыв на место происшествия, мы определили, что проникнуть через маленькое окно могли лишь юноши. По поступившим информациям нам стало известно, что возле школы с утра крутятся какие-то мальчики, среди которых участковый заметил и Алексея С., бывшего ученика этой школы (его недавно перевели в вечернюю школу).

К 15 часам мы их взяли на квартире Алексея С., во время дележа краденого. Скоро несовершеннолетние грабители вместе с сообщником предстанут перед судом.

**А. МАЛАЯНЦ.**

# После пьянки... в зал суда

**ДАВНО** не виделись друзья-товарищи Людвиг К. и Алексей Г. Встретились они в жаркий день 27 мая. Людвиг К. предложил товарищам собраться у себя во дворе и попить пиво. Привезли из бара холодное пиво. Изрядно отведав его, они вместо того, чтобы «охладиться», разгорячились. И потянуло их на подвиг... А завершилось все тем, что Людвиг К., будучи уже в пьяном состоянии, вступил в драку с Алексеем Г., в ходе которой имевшимся у него ножом умышленно нанес последнему ранение в область живота, что признано тяжким телесным повреждением, т. е. опасным для жизни. Вовремя подоспевшие сотрудники ОВД района им. 26 комиссаров пресекли драку и задержали виновного.

Вот так закончилась очередная пьянка, которая привела в зал суда.

# Только факты

**● 7 июня в г. Сухуми сотрудниками Сухумского ГОВД на ул. Кухаленишвили задержан Александр Т., арендатор совхоза с. Эшера, у которого изъято 133 г кокнара.**

**● 7 июня сотрудниками Автозаводского РОВД г. Кутаиси в собственной квартире задержан Василий Ш., пенсионер, у которого изъято 10,6 г марихуаны и один аэрозольный баллон с газом «СИ-ЭС».**

**● 8 июня прокуратурой г. Тбилиси по материалам ОБХСС УВД г. Тбилиси возбуждено уголовное дело в отношении председателя кооператива «Гурджи» Георгия Б., который, злоупотребляя своим служебным положением, в корыстных целях с августа 1989 г. по договору получил из Московского научно-внедренческого кооператива «Зиммотолог» 30.000 флаконов автопрепарата «Молиприз» по цене 5 руб. 40 коп. каждый на сумму 147.420 руб., а в ноябре этого же года с целью получения выгоды стер показатель цен на флаконах и передал для реализации 24.000 флаконов по цене уже 9 руб. за штуку республиканскому оптово-розничному объединению «Спорткультттовары», получив выгоду в сумме 77.440 руб.**

**● 10 июня в 23 часа в селе Енисели Нодар М., ранее судимый, житель совхоза с. Енисели, во время ссоры ранил ножом в область спины своего односельчанина Алексея О., который с телесным повреждением доставлен в райбольницу. Преступник задержан.**

**● 11 июня сотрудниками Хашурского РОВД уличен Тамаз М., завскладом Хашурского треста № 1 Горийского Курводстроя, который с указанного склада похитил 1.800 кг цемента стоимостью 108 руб. и полиэтиленовые трубы стоимостью 176 руб. Похищенное изъято.**

**● 12 июня в Цхалтубский ГОВД обратился пенсионер, житель с. Баноджа Сергей Б. с заявлением о том, что неустановленный преступник проник в его дом и совершил кражу 1.500 руб. и разных драгоценностей. Принятыми мерами по «горячим следам» преступник установлен и задержан. Им оказался уроженец вышеназванного села Мелитон К. Краденое полностью изъято.**

## ЗАВТРА ДЕНЬ МЕДИЦИНСКОГО РАБОТНИКА





В КАНУН Дня медицинского работника мы побывали в госпитале медотдела МВД ГССР, встретились с заместителем начальника госпиталя кандидатом медицинских наук майором внутренней службы Г. Скляренко. Вот что он нам рассказал:

— Недавно в новом корпусе закончился капитальный ремонт, где мы намереваемся открыть отделение реанимации и интенсивной терапии, в котором будут проходить лечение в основном тяжелобольные. К концу года войдет в строй кардиологическое отделение. Кроме того, сейчас ускоренными темпами идет строительство нового пищеблока и складских помещений. Готовится к вводу в строй лаборатория обследования больных на наличие СПИДа. Составляется проектно-сметная документация для строительства нового корпуса, где предусматривается открытие урологического отделения.

НА СНИМКЕ: медсестра С. Гомелаури в процедурной неврологического отделения; медсестра физиотерапевтического отделения Э. Аракелова во время проведения процедуры — душ «Шарко».

СПОРТ •••••••••••• სპორტი •••••••••••• СПОРТ

## МИЗЕРНЫЙ ШАНС



ТАКИХ результатов от сборной СССР болельщики не ожидали. Неудача в стартовом матче XIV чемпионата мира со сборной Румынии, проигрыш чемпионам мира 0:2 в матче второго круга, пожалуй, не оставили никаких практических надежд сборной СССР на выход в 1/8 финала.

Как подсчитали футбольные специалисты, сборная любой страны, набрав три очка и при этом заняв третье место в своей группе, наверняка попадает в 1/8 финала. С двумя очками могут пробиться в следующий этап лишь одна-две команды.

Большой интерес вызывала встреча второго тура между командами Румыния — Камерун, где в случае победы сборной Румынии у советской сборной оставались бы еще практические шансы на выход в 1/8 финала, но камерунцы, так же как и в стартовом матче с чемпионами мира провели матч выразительно, технично и на высоких скоростях и одержали заслуженную победу 2:1. Итак, определился первый участник 1/8 финала — им стала команда с африканского континента.

## ზონალურ შეჯიბრებაზე

ამას წინათ ქ. ფოთში გაიმართა პროფესიონალური სახანძრო ნაწილების XIV რესპუბლიკური ზონალური პირად გუნდური შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებით სპორტში.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მსგავსი შეჯიბრებები ყოველწლიურად იმართება სახანძრო-გამოყენებითი სპორტის შემდგომი პოპულარიზაციისა და სპორტული ოსტატობის დონის ამაღლების მიზნით, ანუ მეხანძრეთა საბრძოლო მომზადების დონის ასამაღლებლად. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ზოგიერთ რაიონში ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ბევრი მეხანძრე ცუდად არის მომზადებული.

კერძოდ, საგრძნობლად ჩამორჩებიან წალენჯიხისა და გეგეჭკორის გუნდები. და მაინც საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა შეჯიბრება, სადაც როგორც მოსალოდნელი იყო პირველი გუნდური ადგილი დაისაკუთრა ჩხოროწყუს მეხანძრეთა ნაკრებმა გუნდმა. საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს სენაკისა და აბაშის გუნდებმაც.

## პირველი გასვლითი მატჩი

ფოთის სახანძრო დაცვის გარნიზონში კარგა ხანია ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ახლახან მათ პირველი გასვლითი მატჩი ჰქონდათ ზუგდიდის რაიონში. მათი მეტოქე იყო სოფ. ორსანტიის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდი.

მართალია ეს იყო ამხანაგური შეხვედრა, მაგრამ მას მეტად პრინციპული ხასიათი ჰქონდა, ამიტომაც სტადიონზე გულშემატკივართა ტევა არ იყო.

მატჩი სანახაობრივად მეტად მიმზიდველი იყო. პირველი ტაიმი ორსანტიელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და ორი ულამაზესი გოლიც გაიტანეს მეტოქეთა კარში. მეორე ტაიმში ფოთელები საკმაოდ აგრესიულად უტევდნენ და ანგარიშის გათანაბრებაც შეძლეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 4:2. აღსანიშნავია რომ ფოთელებმა ორი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენეს.

ლ. ჯოჯუა.

## მეგობრის ხსოვნას

**25 მაისს** ღამის საათებში სახანძრო რაზმში შემოვიდა შეტყობინება ქ. ახალციხეში ერთ-ერთ ობიექტზე ხანძრის გაჩენის შესახებ. შემთხვევის ადგილზე გასულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ცვლის უფროსი ომარ კაპანაძე. გამოცდილი მეხანძრე, მუდამ მზრუნველი თანამებრძოლების მიმართ „ფრთხილად ბიჭებო"! — ხშირად იცოდა თქმა ხანძრის ქრობის დროს. ასე იყო იმ საბედისწერო ღამესაც. ადგილზე მისვლისთანავე მან ჩვეულებისამებრ მიმართა მეხანძრეებს — „ფრთხილად ბიჭებო" და პირველი შეება ხანძართან ბრძოლას, მაგრამ უკანასკნელი აღმოჩნდა ეს სიტყვები 46 წლის ვაჟკაცისათვის.

ო. კაპანაძემ 1978 წლიდან დაიწყო მუშაობა ახალციხის პროფესიონალურ სახანძრო რაზმში, რიგით მეხანძრედ. მუშაობის დაწყებისთანავე მან გამოიჩინა თავი შრომისმოყვარეობით, დისციპლინით. თავდაუზოგავად შრომობდა მეხანძრის რთული პროფესიის ათვისებისათვის. მიღწეული წარმატებებისათვის ო. კაპანაძე სულ მოკლე დროში დაწინაურებული იქნა ათმეთაურად, შემდეგ კი ცვლის უფროსად. ის მუდამ გამოირჩეოდა ენერგიულობით, იყო გულთბილი, ზნეობრივად მაღალი ადამიანი. თავის ცოდნას და ენერგიას არ იშურებდა სამსახურებრივი საქმის მაღალ დონეზე შესრულებისათვის.

იშვიათია ადამიანი, რომლის მიმართაც არსებობდეს ერთიანი დადებითი აზრი. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა ომარი. იგივე აზრს გამოთქვამდნენ მისი თანასოფლელებიც — ერთი გენახათ თუ როგორ უვლიდა განპიროვნებულ ნაკვეთს, როგორ უყვარდა ოჯახი, მუდამ მხარში ედგა გაჭირვებულს.

დაობლდა ორი ვაჟი, დაქვრივდა ქალი, შვილი დაკარგა დედამ. მწუხარებამ მოიცვა მისი მშობლიური სოფელი ურაველი. ხსოვნა მართალი ადამიანისა მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

ნ. თამარაშვილი,
ახალციხის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანი.

**ფაიკა** მართლა გავიდა არისტოკრატს.

გემოვნებით შეკერილი კოსტუმი. უკანასკნელი მოდის პერანგი. ჰალსტუხი. ჟილეტი და ჟილეტის ჯიბიდან ჩამოშვებული ოქროს ძეწკვი. ხოლო მაჯის ღილკილოებში ბრილიანტის თვალი უბრწყინავდა. გულის ზედა ჯიბიდან კი წითელი ცხვირსახოცის სამკუთხედი ამოწვერილიყო.

მილიციის ფორმაში გამოწყობილ ფაიკას აბა რომელი სახლის კარი დაუკავდებოდა!

მერე კი ყველაფერი „ტექნიკის" საქმე იყო.

...მარტის შუა რიცხვებში ღამის ცხრა საათზე უკვე ბნელა. მერე ოჯახის დიასახლისი ქალბატონი მარიამი იტყვის... „საბაზანო ოთახში ვიმყოფებოდი, როცა რაღაც ხმაური შემომესმა. არ მომეწონა. სასწრაფოდ გადავიცვი ხალათი და როცა სასტუმრო ოთახში გავედი, ხუთი უცხო პიროვნება დავინახე. მათ შორის ერთი მილიციის ფორმით იყო.

1981 წელი. დეკემბერი. თბილისი. გლდანის მასივი. გაიტაცეს მოქალაქე კვარაცხელია. მეთოდი იგივეა. თიანეთის გზა. მოფარებული ტყე. ხრამის პირას გაჩერებული მანქანა. კვარაცხელია მაშინვე მიხვდა, რა ალტერნატივის წინაშეც იდგა. ან ფული; ან სიცოცხლე! ძალზე იაფად შეაფასა თავისი სიცოცხლე.

ბანდის „სალაროს" ოთხმოცი ათასი მანეთი შეემატა!

გადის ერთი თვე. ისევ თბილისი. ნუცუბიძის პლატო.

თავდასხმის ობიექტი: ვინმე ვალიკო სერაპიონის ძე ჩივაძე. იგი სამუშაოს შემდეგ ახლომდებარე რაიონიდან თავის თანამშრომელთან ერთად ბრუნდებოდა შინ. თანამშრომელი ნუცუბიძის პლატოზე ცხოვრობდა. როცა დაღმართზე დაეშვა, წინ მანქანა გადაუდგა. მანქანიდან მილიციის კაპიტანი გადმოვიდა. საბუთები მოსთხოვა. ვიდრე „მილიციის თანამშრომელი" საბუთებს სინჯავდა, ჩივაძე რამდენიმე ჯანიანი ახალგაზრდის ალყაში აღმოჩნდა.

გიორგი სანადირაძე

# აკრძალული თამაშები

ისინი ჩვენს ბინას ჩხრეკდნენ. აგროვებდნენ სამკაულებს, ძვირფასეულობას... მაშინვე მივხვდი, რომ მძარცველები იყვნენ. მე შემიყვანეს საწოლ ოთახში, სადაც ხელებგათოკილი მეუღლე დამხვდა.. მძარცველებმა დაახლოებით ნახევარ საათში რაც მოეწონათ, ყველაფერი შეკრიბეს და წაიღეს. მე სხვა წვრილმანების გახსენება არ შემიძლია. არ შემიძლია აგრეთვე მათი ამოცნობა, რადგან სამ მათგანს ნიღაბი ჰქონდა გაკეთებული!"

ამონაწერი მძარცველთა ჩვენებებიდან:

„...ალბათ საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, როცა „ხუცომ" „ნულიას" ბინაზე მიგვიყვანა. მე მილიციელის ფორმით ვიყავი. მაგრამ უკანასკნელ წუთს გეგმა შევცვალეთ და სახლში აივნის მხრიდან ავედით მეორე სართულზე. ხუთნი ვიყავით..."

„...ბინის ჩხრეკვის დროს ტელევიზორის ზემოდან და ქვემოთ ვიპოვე დაპაჭკული ფული. ასევე ფული ვიპოვეთ ბავშვის სათამაშოში და სხვადასხვა ადგილას"...

„...მივასხი წყალი „ნულიას" ცოლს, რომელიც ცუდად იყო. გონს მოვიდა. „ნულიას" ხელ-ფეხი ჰქონდა გათოკილი".

„...თუ ვინ მისცა „ხუცოს" საქმე — ეს ჩვენთვის არ უთქვამს"...

მაგრამ ეს იქნება მერე, დიდი ხნის მერე...

მანამდე რამოდენიმე „ოპერაცია" უნდა ჩაატაროს ფაიკამ და მისმა ბანდამ.

1981 წელი. დეკემბერი. ტყიბულის მიმდებარე სოფელი. თავისივე მანქანით გაიტაცეს ხილკენკროვანი წვენების ქარხნის დირექტორი. გაიყვანეს სოფლის განაპირა ტყეში. აწამეს. რას მერჩით? რა გინდათ? — იყო განწირული კაცის ხავილი. აუხსნეს: თუ გინდა ცოცხალი დაგტოვოთ, უნდა მოგვიტანო სამასი ათასი მანეთი. თან იცოდე, რომ ძველი კურსით არა გთხოვთ ამ ფულს. არა, ამდენი ფული ნაღდად არა ჰქონდა ღვინის ქარხნის დირექტორს. მაშინ „აუქციონზე" გაიტანეს მისი სიცოცხლე. ორასოთხმოცდაათი ათასი? უარი... საჭირო გახდა ხელახალი „პროფილაქტიკა". მორიგეობით ურტყამდნენ რევოლვერის ტარს სახეში... მერე როცა მანქანიდან დაუპირეს გადმოთრევა, დანებდა. ოღონდ სამოცი ათას მანეთად!

...წარმატებას ახალი „ალმაფრენა" მოსდევს.

უცებ იგრძნო, თავზე რაღაც ტომრისმაგვარი ჩამოაცვეს. თავისივე მანქანის უკანა სავარძელზე დააგდეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. გაურკვეველი მისთვის იყო, თორემ ყაჩაღებმა კარგად იცოდნენ, საითაც უნდა დაძრულიყვნენ ნადავლით. ღამე იყო. იყო წყნეთის ტყე და ხუთი გამძვინვარებული ყაჩაღის კატეგორიული პირობა: ან ფული ან სიცოცხლე. სიცოცხლე კი ორასი ათას მანეთად შეაფასეს ყაჩაღებმა.

თუმცა მოვუსმინოთ თვით ჩივაძეს:

„მილიციის ფორმიანი, რომელსაც უკვე ხმაზე ვცნობდი, ეუბნებოდა თავის ამხანაგებს: „რაღას უყურებთ, აიღეთ და მოკალითო! მართლაც გადმომათრიეს ავტომანქანიდან, დამიწყეს ცემა. წამება. ერთმა ისე მაგრად წამიჭირა კისერში ხელი გონი დავკარგე, როცა მოვსულიერდი, ხვეწნად ვიქეცი, ოღონდ ნუ მომკლავთ და რასაც მთხოვთ, მოგცემთ-მეთქი. მგონი გაჭრა: დიდხანს ორჭოფობდნენ. ვილაც ქურდი დამისახელეს ფულს იმას მისცემო, მითხრეს. მერე ორი მათგანი ქურდის მოსაყვანად გაეშურა. გარიჟრაჟისას დაბრუნდნენ, მოიყვანეს ქურდი. იმას „გადააბარეს" და ფულის მოტანის ვადა დათქვეს. ერთი კვირის შემდეგ მოვინახულე ის ქურდი — ჩემი შუაკაცი. ვუთხარი, ორასი ათასი მანეთის გადახდის საშუალება არა მაქვს. თუ ქურდებს „კანონში" გიწერიათ, რომ საცხოვრებელი სახლი გავყიდო და ზედ მანქანაც მივაყოლო, მაშინ ყველაფერს გავყიდი და მოგცემთ-მეთქი! ქურდმა მითხრა: როცა ისინი მოვლენ ჩემთან მე გადავცემ შენს ნათქვამსო.

ფაიკა: კი ასე იყო. გზაში „ხუცომ"-ნაქსოვი ქუდი ჩამოაფხატა თავზე და წყნეთის ტყეში გავიყვანეთ, ორასი ათასი მანეთი მოვთხოვეთ. თუ ამ თანხას არ მოგვცემდა, ვუთხარით რომ მოვკლავდით. ძალზე ბნელოდა. ჩივაძემ ხვეწნა დაგვიწყო, ფულს კი მოგიტანთ, მაგრამ არა მაქვსო... ვაჭრობის საშუალება არ მივეცით. ორასი ათასი! შუაკაცი რომ მოვიყვანეთ და ჩივაძე იმას გადავაბარეთ, რამდენიმე დღის შემდეგ გაირკვა, რომ იგი ფულის მომცემი არ იყო. ჩვენმა კაცმა გაგვაფრთხილა, რომ ჩივაძე მილიციაში ყოფილიყო და მომხდარი ამბავის შესახებ გაეცხადებინა კიდეც... ჩვენ შეგვეშინდა და თავი დავანებეთ"...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" №№ 19-25.

### ПОПРАВКА

В номере газеты «Боевой страж» от 2 июня с. г. в информации о назначениях приказом министра внутренних дел Грузинской ССР следует читать:

— в первом абзаце — на должность заместителя министра внутренних дел Абхазской АССР, он же начальник следственного отдела, — полковник милиции **Сергей Дзыкович Тунгия**;

— в четвертом абзаце — на должность заместителя начальника УВД Сухумского горисполкома по политической части — подполковник милиции **Джинджолия Владимир Ванович**.

ინდექსი 66683

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარა ულის 29. უე 09488